# სახალხო გაზეთი

№ 806 პარასკევი, 25 იანვარი 1913 წ. № 806

**განცხადების ფასი** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ტფილისი [stamp]



**სახალხო გაზეთი** ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება** (კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანაკლის შემთხვევაში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელისმოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.


**ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ კვირას, 27 იანვარს, ქვაშვეთის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი წ. კ. საზოგადოების დამფუძნებელ წევრის, საზოგადო მოღვაწის **პროფესორის**

## ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლად წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის გათავებისათანავე. 1036

22 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## მღვდელი ლავრენტი ქართველოვი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **შვილი მიხეილ ლავრენტის ძე ქართველოვი სახლობით.** დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 26 იანვარს, გორის მართლმადიდებელთა სასაფლაოს ეკლესიაში. 68


ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 46.

## ს ა ღ ა მ ო

**აკაკი წერეთლის სახსოვრად**

**კვირას, 27 იანვ.**, ქართ. დრ. საზ. დასის მიერ

**აკაკი წერეთლის** გარდაცვალებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავად

გაიმართება **სადღესასწაულო საღამო**

სამს განყოფილებად: ბ-ნი კ. ი. **ანდრონიკაშვილი** წაიკითხავს **რეფერატს,**
2) წარმ. იქნება: **რაც გინახავს, ვეღარ ნახავ,** კომ. 3 მ. **ა. წერეთლისა.**
3) **მ ა თ ი კ ო,** მე-3-ე მოქ. **ა. წერეთლის** კომედიიდან.
4) **აპოთეოზი ცოცხალი ტიპებისა ა. წერეთლის** თხზულებიდან.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ლოლუა, ქიქოძე, შოთაძე, ჩ. რქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ჟვიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია:

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.

**ანონსი:** ხუთშ., 31 იან., **ტასო აბაშიძის** საბენეფისოდ წარმ. იქნება ცნობილი პიესა „კეისარი და კლეოპატრა". 1013

## ახალი კლუბი

**შაბათს, 26 იანვარს,**

## მ ა ს კ ა რ ა დ ი

საუკეთესო მასკებისთვის **ო რ ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი** ჟიურის გადაწყვეტილებით.

## ც ე კ ვ ა.

ქალების მასკებისთვის ბილეთები შვეიცართან ჟ. უ. წევრების რეკომენდაციით. დასაწყისი საღამოს 10 საათზე. 1017,

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა,** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოდორთოლოქი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ.** 7—92. 847

## „ძმ. ა. და ა. მილოვების"

## სავაჭრო სახლის

**ხელზე ვაჭრობის განყოფილება**

**გოლოვინის პროსპ., საკადეტო კორპუსის პირდაპირ.**

გასულ წელთა მაგალითებისამებრ, მხოლოდ **ერთხელ წელიწადში!**

## დარჩა მხოლოდ ორი დღე 25, 26 იანვარი.

**დარჩენილი საქონლის** **დიდი ვაჭრობა**

და საზამთრო სეზონისაგან გადარჩენილ ყოველნაირ სავაჭროსი.

**✦ დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა ✦**

აბრეშუმეულობისა, მატყლეულობისა, მაუდის, ტილოს და ბამბეულობის საქონელი; სუფრები, საბნები, შალი, **პორტიერებისა და ტიულისა, ინგლისისა და რუსეთის ფირმების** მაუდის საქონელი.

სადილის დროს $2^1/_2$ საათიდან 4 საათამდე მაღაზია დაკეტილი იქნება.

1027

## საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იაალობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

**ელექტრონისა და რენტგენის**

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 11—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი,** ორდინატორად ნამყოფი კიევის ხელვევის კლინიკაში. იღებს ხუთშაბათობით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 67

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. ძმისკოვის ქუჩა, № 3, ს. ჯაბაშვილისა.

**კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი**

**შაბათ, 26 იანვ.,** სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მსახ., **კ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

დრამა 3 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ანტუანეტა, ს. ანკარა, ს. ბადრიძე, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი, კახელი, ს. რომანიშვილი-უგებუაძისა, მ. რომანიშვილისა, ბ-ნნი გ. ანაშვილი, ს. არშაკუნი, ანტოშკა, არეშიძე, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ვ. განჯელი, ილ. ზურაბიშვილი, ივერიელი, ს. თავდიშვილი, ს. კავაძე, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, რევია, გ. სვანელი, რ. სალაყაია, სავიცკი, სტურუა, ლ. სამადაშვილი, გ. ფრონის-პირელი, ქვიშხეთელი, კ. ყიფიანი, ყარსიმაშვილი, დ. ჩიქოვანი, მ. ჭიაურელი, ჭუმბურელი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და თანამშრომელთა მთელი ჯგუფი.

შემდეგი წარ. 3 თებერ., მზადდება „ღალატი". ბილეთ. ფასი 5—51 კ. **დასაწყ საღ 8 ს.**

1034 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** წრის ადმინ.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ.** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, [illegible] 102

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს [illegible] საათ. კახეთის ქ. № 6.

## ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## გ. გ. გიგინეიშვილის საბუღალტრო კურსები

15 იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე განყოფილება, მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით. სწავლის ფული ასი მან. კურსი ათი თვისაა. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა.). 1002.

**ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო კ რ ე ბ უ ლ ი ს**

## „გ რ დ ე მ ლ ი ს"

**მესამე წიგნის გამოცემა**

განზრახულია ამ წლის პირველ ნახევარში. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოს განზრახული აქვს, რამდენადაც სახსარი ნებას მისცემს, თანამშრომლებს ჰონორარი მისცეს. მესამე წიგნი შემდგარი იქნება ორი ნაწილისაგან ისე, როგორც გრდემლის პირველი წიგნი. მასალას კრებულისთვის მიიღებს საზოგადოების თავმჯდომარე გ. რცხილაძე. ადრესი: ოლგას შესახვევი № 5. 1016.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმების ის ქუ ა. საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვა ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირხალავა რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) $11^1/_2$ $12^1/_2$. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირხალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თოკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულხაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვა ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვულ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035


# სახელმწიფო სათათბირო

**დეპეშები.**

(დეპეშ. პეტერბ. სააგენტო)

23 იანვრის სხდომა.

**როძიანკო თავმჯდომარეობს.**

თავმჯდომარის წინადადებით სათათბირომ ფეხზე ადგომით პატივი სცა სათათბიროს წევრის გარდაცვალებულ როსტოვის ხსოვნას.

სათათბირომ უკამათოდ, 104 ხმით წინააღმდეგ 76, უარჰყო არჩევნების თაობაზე შეტანილი კადეტების შეკითხვის სწრაფი განხილვა.

ოქტომბრისტების წინადადებით, კომისიას მიეცა ორი კვირის ვადა წარმოადგინოს ამ საკითხზე მოხსენება. ამასთანავე ვადა მიეცა კომისიას პროგრესისტების შეკითხვის მოხსენებისთვის.

სათათბირო შეუდგა სოც.-დემ. შეკითხვის სწრაფად განხილვის საკითხზე მსჯელობას.

**ჩხეიძე** შეკითხვის სწრაფ განხილვის მომხრეა. მის აზრს უნდა მიემხროს ყველა წევრი, ვისთვისაც კი ძვირფასია კანონიერება, რადგანაც მთავრობის ჩარევა საარჩევნო კამპანიაში კანონის პირდაპირი დარღვევა და შელახვა არის (ტაში მარცხნივ).

**პურიშკევიჩი** შეჩერდა შეკითხვათა კარგ მხარეებზე და სთქვა: შეკითხვა ყოველ ადმინისტრატორისთვის დამოკლის მახვილი იქნება, რომელიც მათ შიშის ზარს სცემს, თუ კი შეკითხვა წმინდა განზრახვით იქნება შეტანილი და დაფუძნებული შემოწმებულ მასალაზე, როგორც არის ინგლისში. საუბედუროდ რუსეთის სახალხო წარმომადგენლობაც და რუსეთის მთავრობაც ერთნაირად არიან დამნაშავენი შეკითხვის უფლების წინაშე. ყველაზე ნაკლებად არსებითად ეთანხმება შეკითხვის სიმრავლე, ყველაზე მცირედ ანხორციელებს შეკითხვის უფლების იდეალს სოც.-დემ. შეკითხვა, რომლის მიზანიც სოციალისტური პროპაგანდაა სახელმწიფოებრივ წყობილების დამხობისა (ტაში მარჯვნივ).

**როდიჩევი** ამ შეკითხვას მეტისმეტ სათათბიროსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი კანონიერ ნიადაგზეა აღმოცენებული. მეორე მხრივ საკითხი იმითაც არის საგულისხმო, რომ ადმინისტრაციის მოქმედებას არჩევაების საქმეში საზღვარს უდებს. როდიჩევი ადასტურებს არჩევნებში ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებას, ამტკიცებს, რომ მემარჯვენე ფრაქციათა წარმომადგენელნი გუბერნატორებისა და არქიელების შეთანხმებით არიან ამორჩეულნი მეოთხე სათათბიროში. შეკითხვის სწრაფი განხილვა აუცილებლად საჭიროა. ხალხი დაიღალა 17 ოქტომბრის აღთქმათა ლოდინით (ტაში მარცხნივ).

**სუხანოვი.** სწრაფ განხილვის მომხრეა.

შეკითხვის სწრაფი განხილვა ცენტრისა და მემარჯვენეთა უმრავლესობით უარჰყვეს.

**ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. შრომის ჯგუფის შეკითხვის სწრაფ განხილვაზე მსჯელობენ.

**კერენსკი.** ხელთა გვაქვს ისეთი საბუთები, რაც ნათელჰყოფენ, რომ არა მარტო განსაზღვრულ მიზნით მოქმედებდა, არამედ იგი მიჰმართავდა ხოლმე ბრძოლის ყოვლად შეუწყნარებელ საშუალებას. ჩრდილო გუბერნიები წინად გლეხების წარმომადგენლებს ჰგზავნიდა, ეხლა კი მათი წარმომადგენელნი მემარჯვენენი არიან, რადგანაც გლეხობა დევნილი იყო.

**გელოვანი.** სწრაფ განხილვის მომხრეა; უკანონობის დამამტკიცებელი ფაქტები საყოველთაოდ ცნობილია. სათათბიროს მარცხენა ფრთა მთავრობას საბრალმდებლო ოქმს უდგენს.

**მარკოვი მეორე** სწრაფ განხილვის წინააღმდეგ ლაპარაკობს.

სათათბირომ ცენტრისა და მემარჯვენეთა უმრავლესობით უარჰყო სწრაფი განხილვა.

შემდეგ ილაპარაკა მღ. მიტროცკიმ, რომლის სიტყვა ტელეგრაფმა დაამახინჯა.

**კერენსკი** თხოულობს სიტყვას, მიტროცკის სიტყვის გამო.

**თავმჯდომარემ** სიტყვა არ მისცა.

**კერენსკი, შინგარევი** და **ჩხეიძე** აღნიშნავენ, რომ მიტროცკის სიტყვა რიგის გარეშე კი არა სამღვდელოების საპოლემიკო დეკლარაცია იყო, და მემარცხენეებს არა აქვს სახსარი პასუხი გასცენ, რის გამოც

უკმაყოფილებას აცხადებენ თავმჯდომარის წინადადებით.

**ზამისლოვსკი.** [illegible]

**თავმჯდომარე** [illegible]

შემდეგი სხდომა 25 იანვარს იქნება.

## სახელმწიფო საბჭო

[illegible]

**23 იანვრის სხდომა.**

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

მინისტრთა ლოჟაში **იუსტიციის მინისტრი და სინოდის ობერ-პროკურორი.** ხალხით გაჭედილ ლოჟებში ბევრი ქალია.

**საბჭო იხილავს სახელმწიფო მოსაზრებათა კომისიის მოხსენებას ქალთა ვექილობის კანონ-პროექტის თაობაზე.**

[illegible] კიდებულია მინისტრის ნებაყოფლობაზე. ასე რომ მოწინააღმდეგეთა შიში ამ მხრივ უსაფუძვლოა ისიც არ არის მართალი, ვითომც ვექილობა ქალის ბუნებას უწინააღმდეგებოდეს. მოლაპარაკე ღრმად არის დარწმუნებული, რომ ქალისა და კაცის სულის თვისებანი ერთიერთანეთში არ განირჩევა. ჯერ კიდევ შექსპირს „ვენეციელ ვაჭარში“ გამოყვანილი ჰყავს ვექილი ქალი, რომელმაც ჩინებულად მოიგო პროცესი.

მომხსენებელს ყურადღების ღირსად არ მიაჩნია ის არგუმენტი, ვითომც სასამართლოში ქალის გამოსვლას შეუძლიან მოჰხიბლოს მოსამართლენი და უკანონო განაჩენი გამოიტანონ ქალის სილამაზით მოხიბლულმა მსაჯულებმა. არც ის საბუთია მოსატანი, ვითომც ქალი ძარღვების აშლილობის გამო ვერ შესძლებს მშვიდობიანად შეასრულოს დამცველის როლი. მომხსენებელი მოაგონებს, რომ ქალმა როგორც [illegible]

[illegible] დავურთოსვ [illegible] მუ-204 [illegible] თქვამია, რომ ათი წლის პრაქტიკის შემდეგ ვექილებს ნება ეძლევა, საოლქო სასამართლოს წევრად იყვნენ, რასაკვირველია ეს უფლება ქალებზე არა ვრცელდება. პროექტში ეს უნდა ყოფილიყო აღნიშნული. კანონ-პროექტი სრულიად არ ინდობს ქალის მოკრძალების და მორცხვობის გრძნობას, რადგანაც ქალებს ნებას აძლევს ხალხის დაუსწრებლივ საქმის გარჩევაში მონაწილეობა მიიღონ. კანონ პროექტი ეწინააღმდეგება აგრეთვე სამოქალაქო კანონსაც. გათხოვილ ქალებს მხოლოდ ქმრის ნებართვით შეუძლიანთ მასწავლებლობა. საჭირო იყო კანონ-პროექტში გადაწყვეტილი ყოფილიყო ეს საკითხი. პროექტი არ შეესაბამება კანონს, რომლის ძალითაც ქალები საკუთარ პასპორტს ქმრის თანხმობით იღებენ. გარდა ამისა კანონპროექტი არსებითად ეწინააღმდეგება 1911 წლის კანონს, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებში ქალაქის მიერ ეგზამენების დაჭერის უფლებას. საბჭოს კომისიამ რომ ეს კანონი განიხილა საბოლოოდ უარჰყო ქალთა ვექილობა. მინისტრის ცნობებით, —1911 წ. კანონის ძალით 100 ქალმა დაიჭირა საიურისტო ფაკულტეტზე ეგზამენი, რომელთა შორის შემჩნეულია ქრისტიანთა ნაკლები რიცხვი. მინისტრი გადადის კანონპროექტის [illegible] დათ იმოქმედებსო. ჯერ ვექილობა უნდა გადაკეთდეს, გასწორდეს და შემდეგ ახალ ელემენტების შეტანაზე უნდა ვიფიქროთო. ქალთა ვექილობა გამოიწვევს კონკურენციას და გონებრივი პროლეტარობა ფართო გამოხატულებას მიიღებსო. ქალთა ვექილობის წინააღმდეგ თავისდროზე გაილაშქრეს ისეთმა იურისტებმა როგორც არიან პლევაკო, კონი, მანუხინი, ტაგანცევი, შერბერი. არ შეიძლება მართმსაჯულების საქმე დაუქვემდებაროთ ფემინიზმის მოთხოვნილებას. კანონპროექტი ივიწყებს იმას, რაც მეოცე საუკუნემ ფრიად მკაცრად მოითხოვა, ქალი დარჩეს ოჯახში.

სხდომის განახლებისას ილაპარაკა **კონიმ.** მურავიოვის კომისიაში საცა, განხილული იყო ქალთა ვექილობის საკითხი მე, მანუხინი და ტაგანცევი იმიტომ ვიყავით წინააღმდეგნი, რომ მაშინ ქალებს არა ჰქონდათ საშუალება მიეღოთ იურიდიული განათლება. კონიმ გაარჩია მინისტრის დებულებანი და სთქვა: ტეხნიკური ნაკლი მუხლობრივ განხილვის შემდეგ შეიძლება შესწორდეს. კანონის გამოცემისთვის აუცილებელია საჭიროება კი არა მოთხოვნილება. ეხლა, როცა ცხოვრება გაძვირდა სახელმწიფომ უნდა უშველოს ქალებს და მისცეს გზა ლუკმის შოვნისა. არ მესმის, რატომ არ შეიძლება ქალებს მიეცეთ ნება ვექილობისა, როცა ისინი მოღვაწეობენ საპედაგოგო, სამშენებლო, საექიმო და სამეურნეო ასპარეზზე. საოცარია დაიცვა ქალის მოკრძალება და მორცხვობა, როდესაც იგი დაცული არ არის საექიმო მოღვაწეობაში და არავითარ ზომას არ იღებენ ბელეტრისტიკაში პორნოგრაფიის წინააღმდეგ.

**ზინოვიევი მესამე.** ქალი სოფელში და პატარა ქალაქებში არ წავა სამუშაოდ. დიდ ქალაქებში ქალის შრომა საჭიროებას არ მოითხოვს.

**ტაგანცევი** წინააღმდეგია იმისა, ვითომც ქალის გონება საადვოკატო მეცნიერებისთვის უვარგისი იყოს. მეთოთხმეტე საუკუნეში ბოლონის უნივერსიტეტში ორი პროფესორი ქალი იყო. ლიუბოვის გარდმოცემა გვიმტკიცებს, რომ სლავიანებში ქალები სამოსამართლო პროცესში იღებდნენ მონაწილეობას. ეკატერინე მეორეს ნაკაზი არის წყარო ბევრი საკანონმდებლო აქტებისა.

**ენგელგარდტი** კანონ-პროექტის მომხრეა.

**გრიმი** აღნიშნავს დედობისა და ვექილობის კავშირს. ვექილმა ქალებმა, რომელნიც რუსეთში 200-ია დაგვიმტკიცეს, რომ საიურისტო აზროვნებისთვის გამოსადეგარნი არიან.

შემდეგი სხდომა 24 იანვარს იქნება.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **გლეხთა ვალდებულების მოსპობის გამო.** გუშინ ეგზარხოსის ბინაზე დაიწყო კრება საგანგებო კომისიისა, რომელსაც თავჯდომარეობს გორის ეპისკოპოსი ანტონი. კომისიამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი: როგორ უნდა განხორციელდეს ახალი კანონი გლეხთა დროებით ვალდებულების მოსპობის შესახებ.

✦ **ქალაქის გამშვენიერება.** ოსიპოვის შესახვევის (მე-9 უბანში) მცხოვრებლებმა ქალაქის გამგეობას საერთო თხოვნით მიმართეს, დააბლუეთ ქუჩა, რადგან წვიმის დროს წყალი სახლებში გვივარდებაო. გამგეობამ დაადგინა, ამ საგანზე მსჯელობა იქონიოს 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს.

✦ **სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის** დაბალ აგენტებად, თანახმად ქალაქის გამგეობის გუშინდელ დადგენილებისა, მიიღებენ იმ პირთ, რომელთაც განათლების ცენზი აქვთ არა ნაკლებ პროგიმნაზიულისა.

✦ **კიდევ ყასაბნი.** როგორც ეტყობა, ყასბები უკმაყოფილონი დარჩნენ ხორცის ახალი ნიხრით (ძროხის ხორცი 14 კ. უნდა გაიყიდოს) და გუშინ მეტად ცოტა საქონელი დაჰკლეს. სალდათის ბაზარში ამის გამო გუშინ თითქმის სულ აღარ იშოვებოდა ხორცი. ვინც დღეში 50 სულ საქონელს ჰკლავდა, გუშინ მხოლოდ 5—10 სული დაჰკლა. ყასაბნი გაიძახიან, ფუთი ხორცი 6 მან. გვიჯდება და ჩვენ 5 მ. 60 კაპ. როგორ გავყიდოთო, გუშინვე მესამე და მეოთხე უბნების ბოქაულებმა ამის გამო პოლიციმეისტერს შესაფერი მოხსენებანი წარუდგინეს.

✦ **მეფის მოადგილემ შეიწყნარა** შუამდგომლობა ქალაქის თვითმართველობისა იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს ტფილისში მოიწვიოს საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება.

✦ **ფითოევისეულ პაიების გაყიდვა.** 23 იანვრის კრებაზე გ. დ. ჟურულმა ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ არის მსურველი იმისა, რომ ფითოევისეული 480 პაი, რომელიც ქალაქს ანდერძით დარჩა, იყიდოს თითო 355 მან. პაის ნომინალური ფასი 100 მან. ქალაქის გამგეობამ მიიღო მხედველობაში, რომ ხმოსანთა თათბირმა შესაძლებლად იცნო 300 მან. გაყიდვა თვითეულ პაისა, და დაადგინა, დაავალოს გამგეობის საფინანსო განყოფილებას, გაჰყიდოს პაიები. აღებული ფული 170,400 მან.-უნდა შეიტანონ აზოვდონის საკომერციო ბანკში.

✦ **რედაქციამ მიიღო** „ცისკრის“ გამოცემა **„მოთხრობები“**, რომელშიაც მოთავსებულია „მკვდის პასუხი“, თარგ. ელ. ანტონოვსკისა, „ბარათი“ თარგ. ივ. ზურაბიშვილისა და „გულწითელა“ თარგ. ივ. მაჭავარიანისა. წიგნი პატარა ზომისაა 32 გვერდიანია და ერთ შაურად ღირს.

✦ 23 იანვარს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა ოქმი შეუდგინეს ყასაბს მღივანოვს საქონლის ფარულად დაკვლისათვის.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ კვირაცხოვლის ეკლესიის **მრევლის კრება** 3 თებერვალს მოხდება სამზრუნველოს წევრთა ასარჩევად.

### სასწავლებლებში

✦ **სამრევლო სკოლებში.** საქართველოს საეგზარხოსოს საეპარქიო სასკოლო საბჭოს თავმჯდომარემ ეპისკოპოსმა პიმენმა სინოდის სასკოლო საბჭოს აცნობა, რომ საეგზარხოსოს სამრევლო სკოლების 76 მასწავლებელს სრულიად არ მიუღია ის ჯამაგირი, რომელიც დაწესებულია 1910 წლის 21 ივნისის კანონითაო. ამის გამო სინოდის სასკოლო საბჭომ განკარგულება მოახდინა დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საეგზარხოსოს სასკოლო საბჭოს საჭირო ფული (მხოლოდ არა მეტი 13,640 მან.) იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია ციმბირისა, შუა აზიისა და კავკასიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირების შესავსებად.

### დონის როსტოვი.

✦ 20 იანვარს ყაზანის ეკლესიაში ქართველ ინტელიგენციის თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილ **შალვა ნათაძის** სულის მოსახსენებლად. გად-

მოსახლებულთა და ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთა [illegible] სწრნენ იმ გიმნაზიის მასწავლებელნი და მოწაფენი სადაც განსვენებული მასწავლებლობდა. ადგილობრივმა რუსულმა გაზეთებმა გულმტკივნეულად აღნიშნეს ახალგაზდა მწერლის დაკარგვა. დონის როსტოვის საზოგადოება განსვენებულს კარგად იცნობდა. იგი ხშირად კითხულობდა ლექციებს „ქალთა კლუბში“ ხოლო ამ უკანასკნელ დროს სტამბოლიდან თანამშრომლობდა გაზეთ „პრიაზოვსკი კრაი“-ში **ლეონიდოვის** ფსევდონიმით, მაგრამ შალვას სიკვდილმა ყველაზე უფრო მოწაფეებს დასწყვიტა გული. სწორედ იშვიათი თვისებებით უნდა იყვეს ადამიანი დაჯილდოებული, რომ ასე მცირე ხნის განმავლობაში ესოდენი სიყვარული დაიმსახუროს მოსწავლეთა გულში.

### შეცდომის გასწორება.

✦ გუშინ დაბეჭდილ „ჟურნალისტის დღიურში“ შეცდომითაა დაბეჭდილი: .. „სადაც უმეტეს ნაწილად ქართული საეკლესიო საარქეოლოგიო **ხატები ინახება**“.. **უნდა იყოს განძები.**

„მცირე განმარტებაში“ **შეცდომითაა დაბეჭდილი:** „მე კი მგონია, რომ არც ერთი მტკიცებაა **უხვება უნდა იყოს:** „ურიგობა“.

# კერძო თათბირი

### ქართულ გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქართულ გიმნაზიის კომიტეტმა განსაკუთრებული მოხსენება წარუდგინა დეპუტატთა საკრებულოს. ეს მოხსენება ჩვენს გაზეთში იბეჭდება. ლაპარაკი უმთავრესად მოხსენების იმ ნაწილის გამო სწარმოებდა, სადაც კომიტეტი ურჩევს თავად-აზნაურობას, თავის ქონებათა გასაძლიერებლად გამოითხოვოს უფლება 10 პროც. მეტის გადადებისა ბანკის მოგებიდან საერთო სასარგებლო თანხებში. საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრებმა ერთნაირად არ შეხედეს ამ საკითხს. ზოგი სასარგებლოდაც და შესაძლებლადაც სცნობდა ამის განხორციელებას, ზოგი კი—არა. უთანხმოებას იწვევდა ის გარემოება, რომ ამნაირის გადადებით ბანკის სათადარიგო თანხას იმდენი ვეღარ მიემატება, რამდენიც დღემდის ემატებოდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ და განსაკუთრებით კი თავ. გრუზინსკის განმარტებამ დამსწრენი დაარწმუნა, რომ ამნაირ საშუალებით თავად-აზნაურთა წლიურ შემოსავლის გადიდება მოსახერხებელია. თათბირის თავმჯდომარემ თავ. პ. ი. თუმანიშვილმა ამის შემდეგ შესაძლებლადაც სცნო კომიტეტის მიერ აღძრული საკითხი გადასაწყვეტად თავად-აზნაურთა მახლობელ საზოგადო კრებას გადაეცეს.

# დიმიტრი ყიფიანი

**(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)**

**კარი X.**

**ა.**

აქ არის საზღვარი დიმიტრი ყიფიანის, ასე ვსთქვათ, თავად-აზნაურული ხასიათის მოღვაწეობისა. ამ მოღვაწეობის საფუძველი, როგორც ვიცით, ტახტისადმი უსაზღვრო ერთგულებაა. ყოველი სიკეთე აქედან გამომდინარეობს. და ეს სიკეთე, უწინარესს ყოვლისა, თავად-აზნაურობის საჭიროება-მოთხოვნილებათ სწვდებოდა. თავად აზნაურობა სასოებით შეჰყურებდა მთავრობას, მისგან მოელოდა შეწევნას და დახმარებას. მთავრობაც, შეძლებისდაგვარად, ამ შეწევნას და დახმარებას აწვდიდა. და ეს იყო არა მარტო ვორონცოვის დროს, როდესაც არისტოკრატიული პოლიტიკა პრინციპი იყო მთავრობისა, არამედ შემდეგშიაც, ბატონ-ყმობის განთავისუფლების დროსაც, როდესაც თავ.-აზნაურობას მიეცა ორი მილიონი ფული დასახმარებლად და უმწეო მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მთავრობა და ქართველი თავად-აზნაურობა ერთი-მეორისათვის საჭირო ელემენტებია. მთავრობა თავის ბატონობის გასაძლიერებლად კავკასიაში და მის გარედაც თავად-აზნაურობის სამსახურით და ერთგულობით ჰსარგებლობს. თავად-აზნაურობა კი თავისი წოდებრივი პრივილეგიების დასაცავად მთავრობისაგან მოელის შველას. ასე მყარდება მტკიცე კავშირი. მაგრამ თანდათან გარემოება იცვლება. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, თავად-აზნაურობის კარჩაკეტილობა უნებლიედ ირღვევა, ცხოვრებაში ნელ-ნელა ახალი ძალა ისახება, ჩნდება ინტელიგენცია და ინტელიგენციის გაჩენასთან ერთად ეროვნული შემეცნება იღვიძებს საზოგადოებაში. საზრუნავი ხდება ახლად გაღვიძებული ეროვნული ინტერესი. ინტელიგენცია თავის შეგნებისა და ძალის მიხედვით ჰპატრონობს ამ საქმეს, რომლის შინაარსი გამოისახება სამშობლო ენის დაცვაში. სამშობლო ენის დაცვის ირგვლივ ჩნდება და მუშავდება ეროვნული პროგრამა. სხვაგვარ მოთხოვნაზე ლაპარაკი არ არის. წინად, თავ.-აზნაურულ პერიოდში, მთავრობა არა სდევნიდა ქართულ ენას. ახლა გარემოება იცვლება. მმართველობის სისტემა თანდათან იცვლება და მტრობას უჩენს ქართულ ეროვნულ იდეას.

რა პოზიციას იჭერს ამ შემთხვევაში დ. ყიფიანი? იგი გაბედულად დგება ეროვნულ ინტერესების ნიადაგზე და ღრმად არის დარწმუნებული, რომ აქაც, ამ საქმეშიაც ეროვნების მფარველი და მცველი თვითმპყრობელობითი რეჟიმია. ეროვნების წინააღმდეგ მხოლოდ ბიუროკრატიააო. და იგი განაგრძობს თავის წინანდელ ბრძოლას ბიუროკრატიის წინააღმდეგ. ხოლო, თუ წინად მის დროშაზე ეწერა: თავად აზნაურობა და თვითმპყრობელობა, ეხლა აწერია: ქართული ეროვნება და თვითმპყრობელობა. ქართული ეროვნება, თვითმპყრობელობასთან ვიწროდ დაკავშირებული, ერთი ბანაკია, მოხელენი—ბიუროკრატია—მეორე ბანაკია. თუ ბრძოლაა ასეთი დანაწილება უნდა იყოს. და დიმიტრიც ამ გეგმის მიხედვით მოქმედებდა. მართალია, ჩვენ დავინახავთ დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას შემდეგის განხილვიდამ, რომ თუ ბიუროკრატია იყო ჩვენთვის დიდი ბოროტება, ეს ბიუროკრატია პირმშო შვილი იყო განსაზღვრულ პოლიტიკურ სისტემისა. მაგრამ ეს აზრი, დღესაც ბევრისთვის გაუგებარი, იმ ხანაში სრულიად შეუგნებელი იყო. ამ შეუგნებლობას ხელს უწყობდა არსებობა ორი სხვა და სხვა მმართველობის სისტემისა, ვორონცოვის დროს ორმოცდაათიანებში და დონდუკოვ-კორსაკოვის დროს, ოთხმოცდაათიანებში. ერთი სისტემა ლმობიერების თვალით უცქეროდა ქართულ ეროვნებას, მეორე სისტემა ებრძოდა მას. აქედამ გამოჰყავდათ ის დასკვნა, რომ პოლიტიკური მმართველობის ფორმა აქ არაფერ შუაშია, საქმე მოხელენი და ბიუროკრატიაა. თვითმპყრობელობას სიკეთე უნდა, ბოროტი მოხელე კი ამ სიკეთეს ორმოს უთხრის. მაშ თვითმპყრობელობის სახელით მოხელეობის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. ეს არის პოლიტიკური პროგრამის შინაარსი. და სწორედ ეს იყო დიმიტრის პროგრამაც მის მოღვაწეობის მეორე პერიოდში.

ხოლო, რათა ნათელი იყოს ის ღრმა განსხვავება, რომელიც აღმოჩნდა ორ ეპოქათა შორის, ვორონცოვისა და დონდუკოვ-კორსაკოვის დროთა შორის, ორმოცდაათიან და ოთხმოციან წელთა შორის, საჭიროა გარკვეული აზრი გვქონდეს მთავრობის პოლიტიკის მიმართულებაზე და ქართულ საზოგადოებრივ-ეროვნულ აზროვნების განვითარებაზე, როგორც ერთს ეპოქაში, ისე მეორეში. ამ საკითხის ერთ მხარეს ჩვენ რამდენიმედ უკვე შევეხეთ, როდესაც ლაპარაკი გვქონდა ქართულ ენის, პროგრამის თაობაზე ვორონცოვის დროინდელ სასწავლებლებში. ხოლო აქ გადავავლოთ თვალი, როგორც მთავრობის იმ დროინდელ პოლიტიკას, ისე განსაკუთრებით ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნების განვითარების ხასიათს.

ვორონცოვის დროს ჯერ ჩვენში არ იყო ინტელიგენცია. ის იყო დაარსდა „ცისკარი“ და ეს ჟურნალი იყო გონებრივი ავლა-დიდება მაშინდელ ქართველობისა. ინტელიგენციის როლს თავად-აზნაურობის მოწინავე ნაწილი ასრულებდა. „საზოგადოებრივ“ საკითხებს ის აღძრავდა ხოლმე, ის იყო გადამწყვეტი ავისა და კარგისა. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ კერძო პირთა გარეშე, საზოგადოებრივ წრეში ეროვნული თვითშეგნება თითქმის რომ არ არსებობდა. და თუ არსებობდა იგი იმყოფებოდა განვითარების პრიმიტიულ ფაზაში. ერთგულების ჰანგი ლეიტ-მოტივი იყო იმ დროის პოლიტიკურ აზროვნებისა. ყოველ შემთხვევით სარგებლობენ, რომ გამოამჟღავნონ ლოიალური გრძნობები. კმაყოფილება არსებულის რეჟიმით უსაზღვრო იყო თავად-აზნაურთა წრეებში და ერთგულების გრძნობა თითქმის რომ უანგარო იყო: არავითარ კომპენსაციას არ ითხოვდნენ. აი ფაქტებიც.

1848 წელს თავად-აზნაურთა კრებაზე დიმიტრი ყიფიანი, სხვათა შორის, ამბობს შემდეგ სიტყვებს: „თუ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს სამეფოს უკეთეს ხანის დროიდგანვე, თუ არ ვუღალატეთ ჩვენს მართლმადიდებლობას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყველამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობელობის და ერთ მთავრობის წყალობით... ეხლა ჩვენ აუშფოთველად ვცხოვრობთ ჩვენს ქვეყანაში. მშვიდობიანად ვასრულებთ ჩვენს შინაურ საქმეებს. მტერს ჩვენს სახლში კი არ ვეომებით, არამედ მის სახლის საზღვრებში. შვილებს ვზრდით და შევხარით მათ მომავალს. ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება არავითარ საფრთხეს არ განიცდის“. დააკვირდით ამ სიტყვებს განვითარებულ ეროვნულ შემეცნების თვალით. შევინარჩუნეთ კარგი სახელი, კეთილშობილება, მართლმადიდებლობას და მყუდროებას არავინ ემუქრება—აი, ასე ვსთქვათ, ეროვნული პროგრამა, რომელზედაც იდგნენ იმ ხანაში. სხვას არას იხსენიებენ. ან რა უნდა გაიხსენონ, როდესაც ზემოდ ჩამოთვლილ სიკეთესთან ერთად ქართულ ენასაც საპატიო ადგილს უთმობდნენ სასწავლებლებში. ასე რომ პოლიტიკურ-ეროვნულ განუვითარებლობის წყალობით კმაყოფილება მართლაც და სრული იყო. და რაკი ასეა საქმე, მართლაც და საჭიროა ყოველ შემთხვევაში თავგანწირულ ერთგულებაზე ლაპარაკი. თავის სიტყვას დიმიტრი ყიფიანი განაგრძობს: „ყოველსავე ამასა ვგრძნობთ. მაგრამ განა საკმარისია ამგვარ გრძნობების გამომჟღავნება. განა არ უნდა დავამტკიცოთ კიდეცა ამ ჩვენი გრძნობათა კეთილშობილება? ჩვენც გვინდა, რომ მოხსენდეს ხელმწიფე იმპერატორს, თუ რა გრძნობებს განვიცდით იმ შინაურ მყუდროების გამო, რომლითაც ვსტკბებით მას, ზეცით ნაკურთხ, თვითმპყრობელ მონარქიის ფრთეუა ქვეშ... გვინდა, რომ მოხსენდეს მის იმპერატორობით დიდებულებას ჩვენი საერთო ერთსულოვანი სურვილი, რომ აღნიშნული გრძნობათა მიხედვით, მოგვეთხოვოს სამსახური უცხოეთშიაც, თუნდ სახელმწიფოს საზღვრების გარედ, როგორც ძველ დროში საერთო განსაცდელის დროს მეფეები რომ გვიწვევდნენ ყველას, დიდსა და პატარას—მოგვეთხოვოს სამსახური, თუ რომ დასავლეთ ევროპაში ამ ჟამად არსებული შფოთი მუქარა გახდება იმ სახელმწიფოსი, რომლის საზღვარში ყოფნის პატივი აქვს საქართველოს, თანახმად ჩვენი ღვთით ნაკურთხ მეფეების გადაწყვეტილებისა და თანახმად მის კეთილშობილ თითოეულ წევრის გრძნობა-სურვილისა“... ამ გვარად მადლობის ნიშნად ქართველი თავად-აზნაურობა მზად არის თავიდან ფეხებამდე შეიარაღდეს და მხარი მისცეს ნიკოლოზ I-ის მხედრობას 1848 წლ. ევროპაში აფეთქებულ რევოლუციის ჩასაქრობად. ამ სიტყვის გამოთ. ვორონცოვი ტემირ-ხანშურიდან სწერდა თ. ვას. ბებუთოვს: „იმედი მაქვს, ყიფიანს ეტყვით, რა სიამოვნებით წავიკითხე მისი მშვენიერი სიტყვა და როგორ მადლობელი ვარ მისი“.

ხალისი სამხედრო სამსახურისა მართლაც დიდი იყო იმ დროინდელ ქართველობაში. მთავრობაც, რასაკვირველია, სარგებლობდა ამ გარემოებით, და შამილთან ბრძოლა იყო თუ ყირიმის ომი, ყველგან ქართველთა მილიციონერებს პირველი ადგილი ეჭირათ. აი როგორის ამბით

თათბირს დაესწრნენ: სასკოლო კომიტეტი, თავად-აზნაურთა წინამძღოლები და დეპუტატები, საადგილ-მამულო ბანკის წევრნი, ახლად არჩეული მარშალი თავ. კ. აფხაზი, სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლნი და სხვანი.

## სამღვდელოების კრებაზე

გუშინდელ კრებაზე კვლავ გააგრძელეს კამათი იმის შესახებ, როგორ უკვდავ ჰყონ ხსოვნა განსვენებულ ალექსანდრე ეპისკოპოსისა. კამათში, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ უმრავლესობა კრებისა მომხრეა, რათა დარიის მონასტერთან არსებულ მედავითნეთა კურსებს ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელი დაერქვას. კამათი დასრულდა იმით, რომ არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ადგილობრივ დაათვალიეროს კურსები, იქაური საქმის დაყენება და საჭიროებანი გაიგოს და კრებას მოხსენება წარუდგინოს, რათა ამის და მიხედვით ფული გადაიდოს კურსების სასარგებლოდ. კომისიაში მოხვდნენ შემდეგი მღვდლები: კარიბოვი, თურქაძე, გაგლოევი და როჟდესტვენსკი.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმ 1,794 მ. განაწილების საკითხმა, რომელიც სინოდმა გადასდო საქართველოს საეგზარხოსოს ღარიბ მრევლთა კრებულის სასარგებლოდ. ერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ფული განაწილდეს იმ კრებულთა შორის, რომელთაც წლიური ჯამაგირი 300 მან. ნაკლები აქვთ. მეორენი კი ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია კრებული 300 მან. იღებდეს, მაგრამ მრევლი ღარიბი იყოს და ამიტომ კრებულს ჯამაგირის მეტი სხვა შემოსავალი არა ჰქონდეს; ამიტომ ესენი საჭიროდ სთვლიდნენ ფული განაწილდეს ღარიბ მრევლის კრებულთა შორის, მიუხედავად იმისა, 300 მ. იღებენ, თუ ნაკლებსა. ღარიბ კრებულთა დასასახელებლად კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც კრებები ყოველ საღამოობით ექნება. კომისიის წევრებად აირჩიეს: გორის მაზრიდან — გაგლოევი, ხუციშვილი და ხახუტაშვილი, დუშეთის მაზრიდან მარიხოვი, თელავის მაზრიდან ასაბაშვილი, სიღნაღის მაზრიდან ვაჩეიშვილი და ღვთისავარაშვილი, ბორჩალოს მაზრიდან კარიბოვი, ყარსის ოლქიდან ბილბილოვი, განჯიდან ტატუნაშვილი, ერევნიდან პოლიტოვი, თიანეთიდან ჩიქოვანი და ტფილისის მაზრიდან თევზაძე და ფხალაძე. კომისიის თავმჯდომარედ იქნება სამღვდელოების კრების თავმჯდომარე მღვდელი ჯალიაშვილი.

## სასკოლო კომიტეტის

### მოხსენება სათავად-აზნაურებას

(შემდეგი)

**ეხლანდელი მდგომარეობა ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიისა.**

**1. პირველი შედგენილობა:** ა) ვაჟთა გიმნაზიას აქვს 8 ძირითადი კლასი 7 პარალელი კლასით და 3 მოსამზადებელი განყოფილება 3 პარალელი განყოფილებით. მოწაფეთა რიცხვი უდრის 818-ს. *) ბ) ქალთა სკოლაში, რომელიც იმყოფება გიმნაზიის შენობაში დღევანდლამდის გახსნილია 2 კლასი და 3 მოსამზადებელი განყოფილება. სულ სწავლობს 113 ქალი. გ) საადმინისტრაციო და საპედაგოგიო ნაწილის მსახურნი. უსასყიდლოდ მუშაობს 7 კაცი და 4 ქალი. ჯამაგირით—გიმნაზიაში 40 და საქალო სკოლაში 13, სულ 53.

**2. გიმნაზიის ქ ნება შესდგება:** ა) წყნეთის ქუჩაზე 6 დესეტინა მიწისაგან, სადაც აშენებულია ოთხსართულიანი მთავარი შენობა, მშვენიერი ვესტიბიულით, განიერ კარიდორებით, ეკლესიით და 84 ცალკე დარბაზით და საკლასო ოთახებით; სამი ცალკე შენობა, რომელშიაც ერთი ორ სართულიანია, 10 ოთახით, და ორიც თითო სართულიანი 4 ოთახით. სულ ყველა შენობაში 98 ოთახია. შენობათა კუბატურა 10800 საჟენია. შენობას წყალსადენი აქვს, კანალიზაცია და ელექტრონის განათების მოწყობილება. ამ მამულის ღირებულება ეხლანდელ ფასის მიხედვით 1,200,000 მანეთია. ბ) ქვის ორ სართულიანი შენობა, ფართო სარდაფით, ქალაქის თვითმართველობის შენობის გვერდით. სახლის და ეზოს მიწის ზომა 495 კვად. საჟ. კუბატურა 2609 საჟ. თუმცა სახლი დიდ შეკეთებას მოითხოვს, მაგრამ ყოველწლივ შემოსავალს იძლევა 17.000 მან. და ფასდება 416,085 მანეთად. მაშასადამე ტფ. თავად-აზნაურთა გიმნაზიის უძრავ ქონების ფასი უდრის 1.616.085 მანეთს. *)

**3. ყოველ წლიური გასავალი გიმნაზიისა** ნაჩვენებია 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

**4. გიმნაზიის ვალი:** თავად-აზნაურთა ვალი 1912 წლის 21 ნოემბერს.

1. უძრავ ქონების დაგირავებით თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა.

ა) ვერის სახლისა (მთავარი) . . . . 423.808—88
ბ) განოვის ქუჩაზე . 235.116—98

სულ . 658.925—86.

**2) ამ სახლების „ნედოიმკები“:**

ა) ვერის სახლისა . 108.533—09*)
ბ) განოვის ქუჩაზე 11.900—120.433—09

სულ . 779.358—95

**3. საზოგ. სარგებლიანი** ქაღალდების გირაო. საადგილ-მამულო ბანკს:

ა) გიმნაზიის და ქალთა კომიტეტისა . . 14,095—38
ბ) საპენსიო ფონდისა 72.600——

სულ 86.895—38

*) 1899 წლიდან 1912 წლამდე, ე. ი. მას-შემდეგ რაც მერვე კლასი გაიხსნა, გიმნაზიის კურსი დაასრულა 261 მოწაფემ, ამათში უმაღლეს სასწავლებლებში შევიდა 252.

*) თავად-აზნაურობის მიერ ჰილებული 1912 წელ. 20 ათასი მანეთი ჯერ ბანკში არ არის შეტანილი.

## „სახალხო გაზეთის“ რედაქციისაგან:

რადგანაც ჩვენი რედაქციისათვის შესაძლო გახდა **პროფ. ივ. ჯავახიშვილის** შრომის **„ქართველი ერის ისტორიის“** შეძენა, გადავწყვიტეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაცილებით მეტს ხარჯს მოითხოვს ჩვენგან, წლიურ ხელის მომწერთ **მეორე პრემიად** დავურიგოთ ხსენებული შრომა. „ქართველი ერის ისტორია“, ზომით იქმნება არა ნაკლებ 500 გვერდისა; შიგ შევა თვით ავტორის მიერ შესწორებული და შევსებული პირველი ტომი და მეორე, ჯერ დაუბეჭდავი ტომი. წიგნს დართული ექნება პეტერბურგში საგანგებოდ დამზადებული **სურათები**, და ძველი **საქართველოს რუქა**.

ის მასალა, რომელიც უნდა მოთავსებულიყო პრემიად განზრახულ წიგნში „ქართველი მწერლები“, მოთავსდება გაზეთში და უმთავრესად კი მის დამატებაში. ამ მიზნისათვის რედაქციის პორტფელშია ახალი პოემა **ვაჟა-ფშაველასი**, ახალი მოთხრობა **ბარნოვისა** და სხვა.

**4 ფონდების სამინაო ვალი:**

ა) სტიპენდიები: ხერხეულიძისა, ორბელიანისა და ზუბალაშვილისა . . . . 19,823—30
ბ) ნაღდ ფულად ქალთა კომიტეტს . . . 15.665 - 80
გ) გიმნაზიის სარგებლიან ქაღალდებს . . 656 —„

**5. ვექსილობით:**

ვოლგის-კამის ბანკს 10.500 —
6. სხვა და სხვა პირთ 1,700 —

სულ . 878.454 33

**5. ვადიანი გადასახადი და 1913 წ. საჭიროებანი, ვადიანი გადასახადის მისაცემად:**

მთავარ სახლის „ნედოიმკები“ . . . . 88,533—09
„ გადასახადი 1913 წ. 30,000
განოვის ქუჩ., სახლის დარჩენილი გადასახადი 11,900 მ.
„ „ გადასახადი 1913 წ. ბანკს . . . 16000—27900 „
სასოფლო-სამეურნეო ბანკს საზოგ. სარგებლიან ქაღალდების გირაო . . . 76795 „
ფონდთა აღსადგენად 36145—10 „
ვალის გადახდისათვის თამასუქებით . . . . . 20000 „
1913 წლისათვის გიმნაზიის შესანახი . . . . 72,000 „
შემწეობა სტიპენდიანტებს და სხვა . . . . 2406 „
კომიტეტის საქმის მწარმოებელსა და დაშავებულ მუშის შემწეობა . . 1146 „
პენსიონერებს და საპენსიო ფონდში ჩასარიცხი 7006—60 „
ვალის %% გადასახადი 6587—60 „
ქალთა სკოლის შესანახი 6000— „

სულ . . 395619—39 „

**6) 1913 წლის მოსალოდნელი შემოსავალი:**

მოსწავლეთა სწავლის ფული 16000 „
იგივე ქალთა სკოლისა 2600 „
6 იანვრის ბალისა (მაგალითებრ) . . . . . 2400 „
%% ფასიან ქაღალდებისა 2000 „
%% საპენსიო ფონდისა და მასწავლებელთა ჯამაგირიდან გამოსარიცხი . 7717—20 „
განოვის ქუჩის სახლის შემოსავალი . . 17000—„
გორის სინდიკატისა 2 წ. 2000—„

სულ . 49817—20 „

გარდა შემოსავლისა ვალის სრულიად გადასაწყვეტად საჭირო . . 353802—19 „

(შემდეგი იქნება.)

## ამბოხება ოსმალეთში

### დეპეშები

23 იანვარი.

**სტამბოლი.** ჩუმი უკმაყოფილება ჯარსა და მცხოვრებთა შორის. შესაძლებელია საქმე კვლავ გართულდეს. ფულის უქონლობა საგრძნობია. ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი ერთობის და პროგრესის კომიტეტისა ჰნანობს ჩადენილ საქმეს. სტამბოლს სუსტი ჟანდარმერია იცავს. ზოგიერთის სიტყვით ენვერ-ბეი კულაიერშია, ზოგის ცნობით კი ისმუდში.

**გაზეთებიდან**

**ოსმალეთის ემიგრანტები.**

ბათომიდან იუწყებიან: ოსმალეთის ამბოხებამ გააძლიერა ემიგრაცია რუსეთში. აქ მოვიდნენ მალულად სამსუნის გუბერნატორი და ტრაპიზონის პოლიციის უფროსი. ოსმალეთის მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება სამშობლოდან გარდახვეწის მსურველთ, რომელნიც ოპოზიციას უწევენ ახალ სამინისტროს, და სამგზავრო ფულსაც კი ურიგებს მათ.

**მოძრაობა ჯარში.**

ჩერქეზულ ცხენოსანთა რაზმსა და მე-4 კორპუსის ერთს ნაწილს ჩათალჯის ციხეში შეტაკება მოუხდათ ნაზიმ-ფაშის მკვლელობის მიზეზით. დანაკლისი ორივე მხარეს დიდია. ქადიკიოში აფიცერთა ყრილობამ დაადგინა: ნუ დავემორჩილებით ახალ მთავრობასაო.

**ენვერ-ბეი ჩათალჯაში.**

ენვერ-ბეი ფეთხი-ფაშის თანხლებით ჩათალჯის პოზიციებზე მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ სან-სტეფანოში მას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მას ჯარის-კაცებთან უნდოდა ლაპარაკი, აფიცრები წინაღუდგნენ მის განზრახვას, რის გამოც მოხდა შეტაკება. მოკლულია ერთი კაპიტანი. საჩქაროდ მოსულმა ზექიბეიმ ძლივს ჩააქრო ამბოხება.

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

23 იანვარი.

**სტამბოლი.** ოფიციალურის ცნობით, 21 იანვარს, საღამოს 7 ნახ. საათზე, ბულგარებმა ადრიანოპოლის ჩრდილო და აღმოსავლეთის სიმაგრეებს ზარბაზნები და თოფები დაუშინეს.

21 იანვარს, ბულგარეთის ორმა ჰაეროპლანმა ადრიანოპოლს თავზე გადაუარა.

**სოფია.** მმართველთა წრეში განმარტავენ, რომ ოსმალეთის ბოლო დროინდელი დათმობა, არ აძლევდა ბულგარებს მოლაპარაკების გაგრძელების საბაბს, რადგანაც ტუნჯაზე საზღვრის დადება ეწინააღმდეგებოდა მოკავშირეთა მოთხოვნილებას.

**სტამბოლი.** როგორც იტყობინებიან, ოსმალეთის ჯარს ჩ თალჯაში საკმაო სამხარი და საკვები სურსათი აქვს.

**ბელგრადი.** ჩამოვიდა ვენიზელოსი პაშიჩთან მოსალაპარაკებლად.

**სტამბოლი.** სულთანმა 2.500 გირ. შესწირა ეროვნულ თავდაცვისთვის.

**სტამბოლი.** გუშინ და დღეს ბულგარებსა და ოსმალებს შორის ჩათალჯის სოფელში ბრძოლა სწ რმოებს. ბულგარებმა დასწვეს სოფელი და ჩერქეს-კიოის და ლიულე-ბურგასისკენ გაემართნენ. ადრიანოპოლზე იერიშის მიტანა გრძელდება.

**სტამბოლი.** ბევრი თვალსაჩინო ფირმა გაკოტრდა. სხვადა სხვა პარტია აგიტაციას ეწევა.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, რომ ადრიანოპოლზე იერიშის მიტანა მესამე დღეა გრძელდება. ადრიანოპოლის სიმაგრის სექტორები დაიჭირეს.

**გაზეთებიდან.**

**სერბია-ბულგარეთის ახალი კავშირი.**

ომის განახლებისას სერბიამ და ბულგარეთმა ახალი კავშირი დასდვეს, რომლის ძალითაც მოკავშირე მეზობლების ჯარი სრული თანხმობით იმოქმედებს ადრიანოპოლსა, ჩათალჯასა და გალიპოლის ნახევარკუნძულზე. სერბიის სახელგანთქმული მორავის დივიზია უკვე შეუერთდა ჩათალჯასთან მდგომს ბულგარეთის ჯარს.

**მოწინავე ჯარების შეტაკება.**

სტამბოლიდან იუწყებიან: კალიკრატიაში, ჩექმეს ახლოს მოხდა პირველი შეტაკება ბულგარეთის [illegible] ოსმალეთის მოწინავე ჯარ[illegible]რის. ოსმალებს ბევრი დაუჭრეს და მოუკლეს. ბულგარელების დანაკლისი 33 კაცით განისაზღვრება.

**ბულგარეთის ნავთსადგურის დახურვა.**

რუსეთის „სახომალდო და სავაჭრო საზოგადოების“ მთავარმა გამგეობამ ბულგარეთიდან ცნობა მიიღო, რომ ომის განახლების გამო ვარნისა და ბურგასის ნავთსადგურები სრულიად დაიკეტა. ბულგარეთის სანაპიროებზე საჩქაროდ აწყობენ ნაღმებს.

## დეპეშები

23 იანვარი.

**საზღვარ-გარეთ**

**ურგა.** შინაგან საქმეთა მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ხარბინში და ხაილარში წავიდნენ, სადაც შიდა მონღოლეთის ოჯახებიანებს ინახულებენ.

**ნიუ იორკი.** სოფიისტო თეატრში ყოფილიყო ყუმბარა, გახსნის დროს გასკდა და იმავეროლა თამბაქოს მაღაზიის პატრონის ცოლი. მაღაზიის პატრონი და გადარჩენილი ქალი მძიმედ არიან დაჭრილნი.

**კიონისბერგი.** იმპერატორი ვილჰელმი, კრონპრინცის თანხლებით მოვიდნენ სადღესასწაულოდ განთავისუფლების ომის ასი წლის შესრულებისათვის გამო.

**სალონიკი.** ათონში წმინდა ანდრიას სკიტში დიდი აურ-ზაური ასტყდა იმის გამო, თუ იესოს სახელი ღვთაებრივია თუ არა. ბერები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთმა ჯგუფმა ჩაიგდო ხელთ სკიტი, გააძევა იღუმენი და მისი მიმდევარნი.

სტრასბურგის გუბერნატორმა დეპეშა მიიღო: შუაღამისას მოვა იმპერატორი ვილჰელმი, ჯარი შეკრიბე და პლაც-პარადზე დამხვდითო“. გუბერნატორმა მთელი ქალაქი და ჯარი ფეხზე დააყენა, ყველა გამართა ხელმწიფის დასახვედრად და ბოლოს ორ საათზე შეიტყო, რომ დეპეშა ყალბი ყოფილა.

**სტრასბურგი.** ყალბი დეპეშის ავტორი ყოფილა სამხედრო სასწავლებლის კანდიდატი კელერი, რომელიც სასწავლებლიდან დაითხოვეს შეძლებლობის გამო. კელერმა დეპეშა გამოგზავნა, დაიცვა ყოველი ფორმალობა ძალით. ამით კელერს უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი სრულ ჭკუაზეა.

**ტოკიო.** პარლამენტში წარადგინეს 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

**რუსეთი.**

**ვლადივოსტოკი.** ოლგინის მაზრაში გაძარცვეს ფოსტა. გაიტაცეს 10.000 მან. დაჭრილია ფოსტის მოხელე.

**პეტერბურგი.** სრულიად რუსეთის საბჭოთა კრებამ საჭიროდ იცნო საკომერციო სასწავლებლით დამთავრებულს მიეცეთ უნივერსიტეტში შესვლის უფლება.

**ჰელსინგფორსი.** ვიბორგის ციხეიმაგრის კომენდანტმა ვიბორგის გუ-

---

დაუხვდნენ მილიციონერებს, როდესაც ისინი გამარჯვებულნი დაღესტანიდან ბრუნდებოდნენ. „ორი ბატალიონი, ვკითხულობთ დიმიტრის ცოლისადმი წერილში, გრუზინსკის პოლკისა გოლოვინის პროსპექტის ორივე მხარეზედ იყვნენ გამწკრივებულნი ტერ-გრიქუროვის და დობუანკის სახლებ შუა. მილიცია ამ გამწკრივებულ რაზმებ შუა მიდიოდა. წინ გენერლები მიგვებნენ ქაშვეთის ეკლესიასთან ძველის ქოთულის გალობით დაუხვდა სამღვდელოება. იშვიათად ნახავდით მილიციონერს, რომ ჯვრით არ ყოფილიყო მორთული მისა გულ-მკერდი. სამღვდელოებამ პარაკლისი გადაიხადა, და შემდეგ ამისა სადილად მიიწვიეს მილიციონერები კუნძულზე, ლადინსკის სახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახაობა იყო“. ქართულ თავად-აზნაურულ დრუჟინების შესახებ, რომელსაც ყირიმის ომის დროს უსახელებიათ თავი, თ. ვას. ბებუთოვი სწერს დიმიტრი ყიფიანს: „ორივე თავად-აზნაურული დრუჟინა შეტაკების დროს ჩემ რაზმს შეადგენდნენ. მარჯვნიკ მხრიდამ რომ განვიზრახე ოსმალეთზე იერიშის მიტანა, ორივე დრუჟინის უფროსებს ვუბძანე ერთ რიგზე გამწკრივება და დრაგუნებთან და ცხენოსან-მუსულმანთა ბრიგადასთან ერთად მტერზე იერიშის მიტანა. ჩვენი თანამემამულენი, როგორც შეეფერებოდა მათს გულადობას და თავგანწირულებას, ეკვეთნენ მტერს. გული სიხარულით ივსებოდა, როდესაც ვხედავდი, როგორის თავდადებით სწირავდნენ სიცოცხლეს მეფის, სამშობლოსა და მართლმადიდებლობის გულისთვის. სწორედ რომ შამაცურად იბრძოდნენ. „ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ—ერთმანეთს აქეზებდნენ. ყოველივე ეს მახარებს და მანუგეშებს, მაგრამ გული კვნესის და სისხლით ირწყვება, როდესაც გავიგეთ, რომ ამ ბრძოლაში ბევრი გულადი ამხანაგი დავკარგეთ“... თ. ბარიატინსკის ტფილისში მოსვლის დღეს თავად-აზნაურობამ დიდი ნადიმი გაუმართა, და ამ დღეს თავის ხარჯით ტფილისის სამხედრო გარნიზონსაც გაუმასპინძლდა.

უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთის მთავრობისათვის ფრიად სასარგებლო და სასურველი იყო ამ ხასიათის განწყობილება ქართველ თავად-აზნაურობისა. კავკასია ჯერ კიდევ უზრუნველი არ იყო მტერთა შემოსევიდამ. დაღესტანი, ოსმალეთი ყირიმის ომის დროს—ორივე მხრიდამ ემუქრებოდნენ რუსეთის ბატონობას ამიერ-კავკასიაში. საქართველოს ერთგულება ზედმიწევნით იყო რუსეთის საქმისათვის. და უნდა ვსთქვათ, რომ იმ ხანაში დიდი სამსახური გაუწიეს ქართველებმა რუსეთის მთავრობას. ყირიმის ომის დროს დიდი საფრთხე მოელოდა რუსეთის ბატონობას დასავლეთ საქართველოში. გარემოება ისეთი იყო, რომ ეს მხარე თითქმის თავის საკუთარ ძალთა ანაბარას იყო მიგდებული. მთავრობაც დიდად ეფერებოდა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებს, ამხნევებდა, და ხშირად აგონებდა ერთმათ გულების მოვალეობას. აი რას ვკითხულობთ ერთ მოწოდებაში იმერეთის ბრწყინვალე თავადთა და კეთილშობილ აზნაურთა მიმართ: „...განსაცდელი მოევლინა ამ მხარესა თქვენსა, სადაც სარწმუნოება ქრისტესი დამკვიდრებულ არს მოციქულთა დროთაგან და სადაც ერთგულებასა ზედა თქვენსა მეფეთა მ მართ მარადის შემუსვრილან ძალნი მტრისანი... ნაკურთხი მიწა თქვენი შეგინებულ-ჰქმნა აწ თათარმა ფეჴ ს შემოდგითა თვისითა და გიქადისთ, რომელ დაარღვევს ჰსჯულსა, რომელსა შეურყევლათ იმარხავთ განმავლობასა შინა ათას რვა ასის წლისასა; გიქადისთ რომელ შეჰმუსრავს ყოველსავე, რაიცაოდენ საძირკვლად უძს საზოგადოსა ჩვენსა კეთილ-დღეობასა, — ეკლესიათაცა, სადა განისვენებენ გვამნი ძველთა წინაპართა თქვენთანა; სახლთაცა, სადა იფარვიან ცოლ-შვილნი და საკუთრებანი თქვენნი და ღირსებათაცა, რომელთა მიერ უმაღლესნი უმდაბლესთაგან განირჩევით და რომელნი ძველთაგანვე უპირატესობასა თქვენსა ეშესაბამებიან... მთავრობა ჩვენი დარწმუნებულ არს, რომელ არ იპოვების თქვენ შორის არც ერთი, რომელმანაცა არ უწყოდეს განრჩევა ცბიერებისა ჭეშმარიტებისაგან და არა განერინებოდეს საფრთხესა მტრისაგან დაგებულსა... აღიჭურვენით ყოველნი, აღჭურვეთ ყმანი და მსახურნი თქვენნი, შეუერთდით ძლევა მოსილსა მხედრობასა რუსეთისასა, რომელი თქვენდა სთხევს წმინდასა სისხლსა თვისსა და აჩვენეთ მტერსა, რომელ შვილნი ხართ ძველთა მათ იმერთა, გურულთა და მეგრელთანი, რომელთა ვერ შემუსვრიდა იგი უწინარესთაცა დროთა შინა“... მეორე მოწოდებაში, იმერეთის, გურიის და სამეგრელოს ყველა წოდებათა მიმართ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომელ სიტყვასა კნიაზისა ბებუთოვისა შეუდგებიან ყველანი, ლოცვა კურთხევითა ყოვლად, სამღვდელოთა, მწყემსთ მთავართათა და მღვდელმსახურთათა; დარწმუნებული ვარ ქველმოქმედის კეთილშობილი კრების მაგალითსა შეუდგებიან ყოველნივე იმერელნი, გურულნი და მეგრელნი — მოქალაქენიცა, თავისუფალნიცა მოსახლენი და საბატონონიცა კაცნი. საქმე თქვენი ცხად არს წინაშე ღვთისა; ხოლო ქვეყანაცა მთელი გიმზერთ თქვენ ყოვლით კერძო. აღიმშჴრდით, ძმანო, ყოველნი და სახელითა ღვთისათა შეჰმუსრეთ ბოროტებითნი განზრახვანი ძველ უძინებელ თქვენის მტრისა“.

ერთის სიტყვით, როგორც ქართველ თავად-აზნაურობასაც, ისე რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებსაც თავიანთ ლექსიკონში ჰქონდათ იმგვარი სიტყვები, რომელნიც, ჰსახავდნენ რა მათ ზრახვათა, ამავე დროს ურთიერთის კავშირსაც ამაგრებდნენ. და მართლაც, განა შესაფერი არ არის სიტყვა, წარმოთქმული საჯაროდ აი თუნდ თ. ვორონცოვის და სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ. ვორონცოვმა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის დაარსების დღეს (უკეთ ამიერ-კავკასიის და კავკასიის ოლქის შეერთების დღეს) სთქვა, სხვათა შორის: „ვიცი რა ხელმწიფის სურვილი, მე, თანახმად ამ სურვილისა და ჩემის რწმენისა, ვთხოვ ოლქის უფროსს—და მინდა კიდევაც რომ აასრულონ ჩემი თხოვნა—რომ უმთავრესი საგნები სწავლისა იყოს როგორც რუსული, ისე ადგილობრივი ენები, რათა ყოველი „ტუზემცი“ კარგად იყოს გავარჯიშებული რუსულში და ყოველ რუსს ჰქონდეს ცოდნა არა ნაკლებ ორის ადგილობრივ ენისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვეყოლებიან აფიცრები და მოხელენი, რომელნიც მართლაც სასარგებლოდ და თავიანთვის სასიამოვნოთ გასწევენ სამსახურს სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში“. ოლქის მზრუნველი ვ. ნ. სემენოვი, წაქეზებული თ. ვორონცოვის ავტორიტეტით, ამავე დღესასწაულზე ადასტურებდა ამ აზრს: „ადგილობრივ ენათა ცოდნაო აუცილებელი პირობა უნდა იყოს ყველესთვის, ვინც სწავლობს აქაურ სასწავლებლებში. ხოლო რუსული ენა და კანონები მთავარი საგანია სწავლისა, როგორც იარაღი მკვიდრ შეკავშირებისა ამ ქვეყნისა მთავარ სამშობლოსთან... ამ მიმართულებას რომ დავადგეთ, სახალხო განათლება უსარგებლო სამკაული აღარ იქნება აქაურ მცხოვრებთათვის და გახდება აუცილებელ პირობად მათის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ოჯახობრივ ყოფა-ცხოვრებისაო“...

იმ ხანაში, როდესაც ეროვნული შემეცნება ჯერ კიდევ თავის განვითარების პირველ საფეხურზედაც ვერ დამდგარა მკვიდრად, ამ ხასიათის კეთილ-მოყვარული პოლიტიკა უკვე საკმარისი კომპენსაცია იყო ქართველთა ერთგულების დასაჯილდოებლად. და რომ ეს სწორედ ასე იყო, აშკარად სჩანს დიმ. ყიფიანის მიერ წარმოთქმულ ერთს საყურადღებო სიტყვაში. „მე რუსი ვარ—ამბობდა იგი ბოტანიკურ ბაღში გამართულ მოხელეთა ნადიმზე—ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვსჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით. საჭიროა წაშლა იმ ღარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის არის გადებული, საჭიროა ორ სიტყვიდან—რუსი და ქართველი—ერთი სიტყვის შეუუშავება, ძათი ძნიშვნელობის შედუღება ერთს მცნებაში, სიტყვით და საქმით, და საჭიროა ამ შედუღებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრობის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში“.

ამაზე შორს თავგანწირულების გრძნობა ვეღარსად გაიჭრებს. რუს-ქართველთა სოლიდარობა უკანასკნელ ტერმინამდეა მიყვანილი. იდილია გაერთიანებისა თითქმის რომ მიღწეულია. მაგრამ, ნამდვილად კი ეს იყო უტოპია, ოცნება და რომანტიკა საზოგადო მოღვაწისა. და უტოპიზმი ამგვარის ამოცანებისა თანდათან აშკარავდებოდა. ჯერ იყო და ქართველებს უნდობლობის თვალით დაუწყეს ყურება. პოლონეთის აჯანყების შემდეგ 1864 წელ., კატკოვის მეთაურობით ფეხს იდგამს რუსეთში მებრძოლი სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი. ამ ნაციონალიზმის მოლტები საქართველოსაც მოხვდა. ეს იყო დასაწყისი, ხოლო დაგვირგვინება ამ ნაციონალისტურ კაცი-ჭამიობისა უკვე ოთხმოციან წლებში დამკვიდრდა. დიმიტრი ყიფიანის სოლიდარობა ოცნების საძეფოში იმალებოდა, ცხოვრების ზედაპირზე კი ანტაგონიზმი და უნდობლობა მყარდებოდა. საჭირო იყო ანგარიშის გაწევა, პასუხის გაცემა, იერიშის მიტანაც ამ მოულოდნელ ბოროტების წინააღმდეგ. და დიმიტრი ყიფიანი რიგ-რიგზე, თავ თავის დროს, ასრულებს ამ მოვალეობის ასრულებას.

(შემდეგი იქნება)

არჩილ ჯორჯაძე.

ბერნატორის ყურადღება მიაქცია ვიბორგის გაზეთებს. „ვიბორგს—ნიხეტერ“ და „კირიალაზე“, რომელნიც მთავრობის ზომებს წინააღმდეგობას უწევენ. კომენდანტმა შეუთვალა, რედაქტორებს, თუ მიმართულებას არ გამოიცვლით გადაგასახლებთო.

# უცხოეთი

**შეერთებულ შტატების ახალი პრეზიდენტი და მისი პროგრამა.**

შეერთებულ შტატების ახალმა პრეზიდენტმა ერთ გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოათავსა წერილი, საცა მისი მოქმედების გეგმა ნათლად სჩანს. წერილში წითელ ზოლივით გასდევს ის აზრი, რომ დადგა დრო მთავრობისა და ხალხის დაახლოვებისა, შეკავშირებისა. დღევანდლამდე—სწერს ვუდრო ვილსონი, საბაჟო და სარკინისგზო კანონმდებლობის გარჩევის დროს აზრად არავის მოსდიოდა შეჰკითხებოდა იმას, ვინც სარგებლობდა რკინის გზით და ვისაც საბაჟო ბეგარა აწვებოდა. მათთვის საგულისხმო იყო მხოლოდ აზრი მსხვილ მექარხნებისა, მეფაბრიკებისა, ბანკირებისა და სხვა.

შეერთებულ შტატთა მთავრობის ნამდვილი ბრძანებლები იყვნენ ზემოდ ჩამოთვლილი პირნი. „არავის უსაყვედურებ, განაგრძობს ვუდრო ვილსონი, რომ ანგარიშს უწევდნენ მსხვილ კაპიტალისტების და მრეწველთა ინტერესებს, რადგანაც ისინი შეადგენენ ამერიკელ ხალხის ნაწილს, მაგრამ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ „მხოლოდ“ მათ უწევდნენ ანგარიშს, და „განსაკუთრებით“ მათის აზრით იყვნენ დაინტერესებული. როდესაც მთავრობას ჰსურს გაიგოს, თუ რას ესწრაფის მხარე, ჰსურს გაიგოს ხალხის საჭიროებანი, უნდა მიჰმართოს პირდაპირ ხალხს კაპიტალისტთა უშუამავლოდ. რთულ საკითხის გადაწყვეტის დროს მიჰმართავდნენ ხოლმე მსხვილ მრეწველებს და კაპიტალისტებს ჩრევისთვის და ძალა უნებურად უხდებოდათ მათი ინტერესების დაცვა. ხალხი თვის საჭირბოროტო საკითხებით უკან რჩებოდა. მე საიდუმლო რჩევას არავისგან არ მივიღებ, ვინც ვაშინგტონის ჩაკეტილ კარებებში სხედან დ გამგეების როლს თამაშობენ, ველარ მოვითმენ მართვა-გამგეობის სისტემას, რომელიც ბოლოდროს იყო ჩვენში ამუშავებული. შეუძლებელია მართვა-გამგეობის საქმე მათ ხელში იყოს, ვისაც თვალთსაზრისი ფრიად ვიწრო აქვს. როგორც შეერთებულ შტატების პრეზიდენტი მთელს უფლებასა და ძალას გადავცემ ხალხს, ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნელობით.

ვუდრო ვილსონი ეხლავე შეუდგა „კაპიტალისტების ინტერესებთან“ ბრძოლას. საამისო კანონ-პროექტები უკვე შეიტანა საკანონმდებლო დაწესებულებაში.

პრესა დიდის თანაგრძნობით ეკიდება ვილსონის მოქმედებას, თუმცა ეჭვს გამოსთქვამს მის მოსაზრებათა განხორციელებაში.

**ბაასი ფალიერთან.**

„Matin“-ის თანამშრომელი ებაასა ფალიერს. ფალიერმა თვისი აზრები გაუზიარა მობაასეს, უთხრა, თუ როგორ აპირებს მოაწყოს თვისი ცხოვრება დღეის შემდეგ. „მე ეხლა ვიქნები, სთქვა ფალიერმა, უბრალო მოქალაქე. ვტოვებ პრეზიდენტობას იმ იმედით, რომ ჩემი მოადგილე, რომელსაც ვიცნობ და პატივსა ვცემ შესძლებს ხომალდის მართვას. მას შემდეგ, რაკი მე ადგილს დაუთმობ ჩემს მოადგილეს, იგი ჩემში იპოვის პატივისმცემელ და ერთგულ მოქალაქეს. რას გავაკეთებ? ისეთი ცხოვრება მექნება, როგორც სენატის პრეზიდენტობის დროს მქონდა—ვიცხოვრებ ხან პარიზში და ხან ლო-ი-გაროსის დეპარტამენტში, ჩემ საკუთარ მამულში. დასვენების დროს გარდავიქცევი მეღვინედ და ვაზის სასხლავით ვისეირნებ ჩემს ვენახში.

რასაკვირველია, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტად ნამყოფს შეუძლიან გააგრძელოს კარიერა, ამაში მას ხელს არავინ შეუშლის, მაგრამ ჩემ დეპარტამენტში ყველაფერი დახაზულია. გარდა ამისა 71 წლისა ვარ, და ჩემს უკან სდგანან ახალგაზრდა ენერგიული ხალხი, რომელიც თვის ჯერს მოელის. გზას მებს არ ვადგებ. შესაძლებელია ცოტა ვიმოგზაურო კიდეც. ჩვენი ქვეყანა ისეთი კოხტა, კოპწია და ლამაზია, რომ ძლიერ მომინდება ხოლმე მისი დავლა, უფრო ახლო გაცნობა. თქვენ გეინტერესებათ, რას ჰფიქრობს პრეზიდენტი, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ უნდა მიატოვოს თანამდებობა. უკვე ყველაფერი გითხრით. ხომ მხედავთ ბრბოში შევდივარ და სინანულის ლანდიც არა სჩანს ჩემში!

# რუსეთი

**ფინლიანდიის საქმის ვითარება.**

გენერალ-გუბერნატორმა მინისტრთა საბჭოს დავალებით ფინლიანდიის დაწესებულებათა ყველა მოხელეებს ცირკულიარი დაუგზავნა და აფრთხილებს მონაწილეობა არ მიიღოთ რუსთა გათანასწორების კანონის წინაამდეგ ფინლიანდიაში. გუბერნატორი დასძენს, რომ დაისჯებიან ის მოხელენი, ვინც თვის მოვალეობის ასრულებაზე უარს იტყვისო.

—

სენატორები: ლ. მეხულენი, რ. სვინხუვული, საზოგადო მოღვაწენი, ვაზის გოფგერიხტის წევრნი, სტუდენტები და სხვანი დეპეშით თანაგრძნობას უცხადებენ ვიბორგის გოფგერიხტის წევრთ, რომელთაც პეტერ. სოლქო სასამართლომ 1 წ. და 4 თვ. ციხე მიუსაჯა.

—

როგორც ვიცით, პეტერ. საოლქო სასამართლომ გაამართლა ვიბორგის გოფგერიხტის პრეზიდენტი მალინი. მალინის გამართლება იყო შედეგი ამხანაგების განდგომისა, მან განაცხადა რომ რუსთა თანასწორობის კანონის საკითხში, ამხანაგების აზრს არ ვიზიარებო. სხვა წევრებმა გამომძიებელს ჩვენება არ მისცეს, სასამართლოში არ გამოცხადნენ. მალინმა კი დაარღვია ამხანაგების დადგენილება. ამისთვის მალინს ულრმეს აღშფოთებას და გაკიცხვას უცხადებს ფინლიანდიის ხალხი.

—

ფინლიანდიის სეიმმა მუშაობა დაიწყო. ჯერკიდევ სრულიად ახალია ის შთაბეჭდილება, რაც ფინლიანდიამ მიიღო ვიბორგის გოფგერიხტის წევრთა გასამართლებით. ფინლიანდიის კონსტიტუციაზე, მის ძირითად კანონებზე ძლიერი იერიშია მიტანილი. გენერალ-გუბერნატორი ზეინი, მინისტრები და სხვა და სხვა უწყებები ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებიან თუ ვინ უფრო გადაამეტებს ცირკულიარების გამოცემაში. ფინლიანდიის სეიმს ფრიად მძიმე და პასუხსაგებ დროს უხდება მუშაობა. რა ზომებს მიიღებს სეიმი კონსტიტუციის შესანარჩუნებლად, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

# თეატრი და ხელოვნება

შაბათს, 26 იანვარს, „მოგზაური“ დასი ვლ. ალ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგენს „ედმონდ კინს“.

ახალი პიესა. შალვა დადიანს დაუწერია ახალი პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან 3 მოქმედებად: „შენი ჭირიმე“. ის უკვე ბარველის საბენეფისოდ წარმოუდგენიათ. პიესას ხალხზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

# წერ. რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ ამ წერილის. ულრმესს მადლობას ვუცხადებ „Закавказье“-ს, „მერცხალი“-ს, „იმერეთი“-ს და „ქართლი“-ს რედაქციებს, რომლებმაც უფასოდ უგზავნეს გაზ. შარშან და წელსაც უგზავნიან ჩემდამი რწმუნებულს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ვერის სახალხო სამკითხველოს, ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას, მიხ. გაჩეჩილაძეს, კ. თავართქილაძეს, მ. ლელაშვილს, ალ. მეტრეველს, ქართულ გიმნაზიის მოწაფეთ: ვახტ. დეკანოზიშვილს და ზაქ. ბუსურაშვილს წიგნებისა და ჟურნალების შემოწირვისათვის.

ვერის სამკითხველოს გამგე

**ნინო ენუქიძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ნიკოლოოზ ითამის ძე კობახიძეს რომელმაც თავის სამშობლო სოფლის სკოლის მოწაფეებს წელს ჟურნალი „ნაკადული“ გამოუწერა.

ს. ფხვენისის სამრევლო სკოლის მასწავლებელი **ვლადიმერ ფ. ძე უნაფქოშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა (ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 9 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № , საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: ს.ხ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 0, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასის და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## გემების მიმოსვლა (ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) **პირდაპირი, საფოსტო გემი შაბ., და კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევს.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს, 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან პირდაპირი, საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ ▪. **სამშ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

## კასპიის ზღვაზე.

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს პირდაპირი, პარ., და სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **მ. ფომინა-ოსიპოვიჩისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანოვი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 6▪9).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 7▪5).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

# განცხადებანი

დ. ზესტაფონში
**ექიმი** კბილისა **ბაბილინა ცხადაძე**
იღებს ავადმყოფებს დღისით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**
**დილით:**
**„606“ და „914“**
**11—12 ს. შეშხაპუნება**
**კონსულტაციურად.**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ავასაროვი:** 1—2 ს. გავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ: კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
**საღამოთი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

**ვასწავლი ქართულ „სიმღერა-გალობას“**
ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი № 11, მიხეილ კავსაძესთან. 886

**ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში.**
მუხრანის ქ. № 2.
ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ.

მეხანიკური ნაწარმოები. 30.

**№ 4711**
**სქელი პუდრი**
კანს ხავერდისავით ნაზებს და ალამაზებს
ფერდ. **მიულგენსი**
კოლოფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სახახლის იჯარადარი.


Метцль 529935 529954
1021.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**მუხრანის კერძო სამკურნალო**
**საწოლი კრაოტებით.**
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370. დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

| | ექიმების მიერ: | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა მიხედვით. | **საქტიონი გ. მ.** | $8^{1/2}$—$9^{1/2}$ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ლ.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. ქ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | $12^{1/2}$—$1^{1/2}$ ს. |
| ხირურგია, სქესო სნეულებანი | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელქონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | $9^{1/2}$—$10^{1/2}$ ს. |
| საშარდე და სქესო სნეულ. | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშვილ. და საბებიო. | **ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | $12^{1/2}$—$1^{1/2}$ ს. |
| სნეულ. ყურის, ყელის და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 $12^{1/2}$ ს. |
| ტვინის და ნერვ. სნეულ. | **შაპელნიკოვი გ. ი.** | $1^{1/2}$—$2^{1/2}$ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

✦ გამოსულია და იყიდება ✦
**ნ. შიუკაშვილის**
პიესა **„მემკვიდრეობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**
**ი. გედევანიშვილის** პიესა
**„გ ა მ ც ე მ ი“**
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**სამკურნალო გოგირდის აბანო**
**„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“**
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და ერედვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/0 და 35°/0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები, მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115. 1674

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | |
|---|---|
| აბაშიძე გრ. . . . . . . . . ფ. 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი . . . . 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. . . . . . . „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. . . . . . . . 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. . . . . . . . 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. . . 50 „ |
| გურიელი მამია . . . . . . . . 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები . . 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. . . . . — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი . 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები . . . . 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I . . . . . 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. . . . . . . . . . 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები . . . . 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I . . . 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა . . . . . . . . 1 მ.— | — — ტ. II . . . 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I 75 „ |
| „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ. 60 „ | — — იგავ-არაკნი . 50 „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. гр. могнюсти сред. гр. нас. 1141

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, **ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,** გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ყოველგვარი **კონსერვები.**
თევზის მრეწველნი **ძმ. ძებველოვები.**
**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტელეფონი № 712.**
1131
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარ ი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი
✦ **შავი ხიზილალა** ✦

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.